ახალი ხარაგაული

301 (28) 19 ოქტომბერი, 2015 წ

კობა ლურსმანაშვილი: „თავი უნდა შევიკავოთ ისეთი განცხადებების გაკეთებისგან, რომლებიც საზოგადოებაში პესიმიზმს დასთესს“

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, კობა ლურსმანაშვილი, დამოუკიდებელ გაზეთ „ჩემ ხარაგაულში“ მაჟორიტარი დეპუტატის, ნოდარ ებანოიძის, მიერ გაკეთებულ განცხადებებს ეხმიანება. „დამოუკიდებელი გაზეთის „ჩემი ხარაგაულის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა სტატია სათაურით „ხარაგაულის ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულება მცირედით აჭარბებს 70-%-ს“, რომელშიც ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი ნოდარ ებანოიძე საკმაოდ პესიმისტურ განცხადებებს აკეთებს. არის მთელი რიგი საკითხები, რომლებშიც ვერ დავეთანხმები ბატონ ნოდარს. ვფიქრობ, რომ ფორმულირება „ბიუჯეტის სახსრების არაგონივრული ხარჯვა“ არ არის სწორად გამოყენებული ტერმინი. როცა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი იგეგმებოდა, ყველას შეეძლო, მასში მონაწილეობა მიეღო. იგი თავადაც მონაწილეობდა ამ პროცესში. მის მიერ გამოთქმული მოსაზრებებიც კარგად გვახსოვს. დღეს, როდესაც ბატონი ნოდარ ებანოიძე საუბრობს, თითქოსდა ხარაგაულის ბიუჯეტი 9 თვის შედეგებით 70%-ს მცირედით აჭარბებს, ეს განცხადება, რბილად რომ ვთქვათ, გადაჭარბებულია. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ 9 თვის შემოსავლები დაგეგმილთან მიმართებაში 87% - ით, ხოლო ხარჯვით ნაწილში 91%-ით შესრულდა. საბოლოო სურათს წლის ბოლოს მივიღებთ. რაც შეეხება კონკრეტულ ციფრებს, ხარაგაულის ბიუჯეტი წლის დასაწყისში 6 მილიონ- ნახევარი ლარით დაიგეგმა, (ამას დაემატა ფონდებიდან მიღებული თანხები „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში პროექტების განხორციელებისთვის, რეგიონალური განვითარების ფონდიდან ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებისთვის და ა.შ.) რისი ხარჯვაც უნდა განგვეხორციელებინა. ჩვენ წელს 7 მილიონ ლარს დავხარჯავთ. ეს მოხდება არსებული ნაშთის დამატებით, რომელიც 912 ათას ლარს შეადგენს. ასე რომ, ნაშთი, რომლებიც გადმოვიტანეთ, მთლიანად მიმართული იქნება იმ ვალდებულებების დასაფინანსებლად, რომელიც ჩვენ გვაქვს. ზოგადი სურათი იქნება ასეთი: დაგეგმილი 6 მილიონ- ნახევარი ლარის ნაცვლად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს სხვადასხვა ვალდებულების შესასრულებლად და პროექტების განსახორციელებლად დახარჯოს 7 მილიონი ლარი, ანუ ნახევარი მილიონით მეტი, ვიდრე ეს იყო დაგეგმილი. ეს ის რეალობაა, რომელიც მუნიციპალიტეტის გამგეობამ ხარაგაულის მოსახლეობას უნდა აცნობოს.

ვფიქრობ, რომ ყველამ უნდა შევიკავოთ თავი ისეთი განცხადებების გაკეთებისგან, რომლებიც საზოგადოებას ააღელვებს და პესიმიზმს დასთესს, განსაკუთრებით მაღალი თანამდებობის პირებმა. დღეს ხარაგაულში საბიუჯეტო შემოსავლებისა და მიმდინარე ვალდებულებების დასაფინანსებლად ყველაფერი კეთდება. ჩვენ კარჩაკეტილები არ ვმუშაობთ ბიუჯეტის დაგეგმარების დროს. მთელი რიგი პროცესებია გასავლელი პრიორიტეტების დოკუმენტით დაწყებული, საკრებულოს სხდომაზე განხილვითა და დამტკიცებით დამთავრებული და ეს პროცესი ყველასათვის ღიაა.

მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნება მოსახლეობის მზარდი მოთხოვნები და ინტერესები. მინიმუმამდე დაიწევს ა(ა)იპ-ების სუბსიდირება. ზოგიერთ შემთხვევაში მოხდება შემცირება, შერწყმა, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია. დაფინანსდება მხოლოდ დასაბუთებული მოთხოვნები. ყურადღება მიექცევა ეფექტურ პროგრამებს. გადასახედია ა(ა)იპ-ებში მომუშავეთა კვალიფიკაცია. ჩვენ დასაქმების ბიუროები არ გვჭირდება. ჩვენი შესაძლებლობები, ძირითადად მოსახლეობის კეთილდღეობაზე უნდა იყოს მიმართული.

ის თავდასხმები, რომლებიც ჩვენი მისამართით არ წყდება, ყოველთვის იქნება პასუხგაცემული. დღეს, თუ რაიმე კეთდება ქვეყანაში, მათ შორის გამორჩეული ხარაგაულია. ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ წარმატებისკენ და ამაში ხელს ვერაფერი შეგვიშლის“.

ბორითში მერაბ კოსტავას ხსოვნას პატივი მიაგეს

13 ოქტომბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში, იქ, სადაც 1989 წლის 13 ოქტომბერს ავარიის შედეგად მერაბ კოსტავა ტრაგიკულად დაიღუპა, ღირსეული მამულიშვილის ხსოვნის დღე აღინიშნა. მერაბ კოსტავას გარდაცვალების ადგილზე საქართველოს ეროვნული გმირის მეგობრები და მისი იდეის ერთგული ადამიანები შეიკრიბნენ: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი ნოდარ ებანოიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები. ეროვნული გმირის მემორიალთან გამართულ ღონისძიებას საქართველოს კონ-

გაგრძელება ▶2

2016 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება

2016 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება. მომავალ წელს საბავშვო ბაღები აშენდება სოფელ მოლითში,ხევში, ღორეშასა და წიფაში. რეაბილიტაცია ჩაუტარდება დაბის N2 საბავშვო ბაღს, რაც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას გაცილებით მეტი აღსაზრდელის მიღების შესაძლებლობას მისცემს. აღნიშნული პროექტები რეგიონალური განვითარების ფონდიდან დაფინანსდება. ხარაგაულის მუნიციპალიტეტს რეგიონალური განვითარების ფონდში დასაფინანსებლად 8 პროექტი აქვს წარდგენილი. დასაფინანსებელი პროექტები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა გამგებლის წარმომადგენელებს სამუშაო თათბირზე გააცნო.

ეს პროექტებია:

1.უბისა-ღორეშის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 1 200 000 ათასი ლარი.

2. ზვარის ახალგაზრდული ბანაკის მოწყობა - 591 000 ათასი ლარი. პროექტის ფარგლებში მოხდება ყოფილი პიონერთა ბანაკის 2 სართულიანი შენობის სრული რეაბილიტაცია 80 მოსარგებლეზე, მოეწყობა ეზო , ღობე და კომუნიკაციები.

3. დაბის №2 , მოლითის, წიფის, ღორეშის, ხევის საბავშვო ბაღებისათვის შენობების რეაბილიტაცია და სოფელ ვახანის საბავშვო ბაღში მეორე ჯგუფისათვის მიშენების სამუშაოები - 350,000 ლარი.

გაგრძელება ▶2

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, კობა ლურსმანაშვილი, საინფორმაციო ვებ- გვერდ „ქუთაისიპოსტის“ მიერ გამოქვეყნებულ მასალას ეხმიანება

რამდენიმე დღის წინ „ქუთაისიპოსტის“ ჟურნალისტები ხარაგაულს სტუმრობდნენ. მათ ხარაგაულის ქუჩებში მოსახლეობა გამოკითხეს, რომელთაც ნეპოტიზმის რამდენიმე შემთხვევაზე ისაუბრეს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, კობა ლურსმანაშვილი, ეხმიანება საინფორმაციო ვებ- გვერდ „ქუთაისიპოსტის“ მიერ გამოქვეყნებულ მასალას „აქ ყველა ყველას ნათესავია“ - ნეპოტიზმის ფაქტები ხარაგაულში“ .

,,რამდენიმე დღეა,რაც პრესაში ტრიალებს თემა ხარაგაულში არსებულ ნეპოტიზმზე. რომელ ნეპოტიზმზეა საუბარი, ჩემთვის გაუგებარია. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის ოჯახის წევრები ხარაგაულში არ ცხოვრობენ და ვინც ცხოვრობს, ვერავინ იტყვის, რომ ისინი ნათესაური გავლენით არიან დასაქმებული. ხელჩასაჭიდი რომ ვერავინ აღმოაჩინეს, თქვეს- ბავშვის ნათლია ჰყავს დასაქმებულიო. სირცხვილია, როცა ასეთ განცხადებებს აკეთებენ პროფესიონალი კაცის მიმართ. საუბრობენ ხარაგაულის საკრებულოს თავმჯდომარის მეუღლეზე, რომელიც გამგებლის მოადგილე იყო. ამ კუთხით რომ რაიმე უხერხულობა არ შექმნილიყო, ამიტომ მოხდა მისი გადანაცვლება ა(ა)იპ ,,ხარაგაულკეთილმოწყობის“ დირექტორის თანამდებობაზე. მეუღლეობა დანაშაული არ უნდა იყოს. რა ქნას ადამიანმა, რადგან საკრებულოს თავმჯდომარის მეუღლეა, გაქრეს? დავით გელაშვილი თურმე იმიტომ დანიშნულა ერთ-ერთი ა(ა)იპ- ის ხელმძღვანელად, რომ გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის, ვლადიმერ გელაშვილის, ძმაა. დავით გელაშვილი არის წარმატებული სპორტსმენი და მენეჯერი, კარგად ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას. პაატა გოგოლაძის დამ საჯარო მოხელეთა კონკურსი წარმატებით გაიარა. იგი პროფესიით ბიოლოგია, რაც დღეს ცოტა დეფიციტური სპეციალობაა და, რადგან გამგებლის მოადგილის დაა, არ უნდა მუშაობდეს?! ასევე ჩემი მოადგილის, დავით დევდარიანის მეუღლე, თურმე საგანმანათლებლო რესურსცენტრში მუშაობს. კი, ბატონო, მუშაობს, მაგრამ დაახლოებით 10 წელი იქნება, რაც ნათია კაციტაძე საგანმანათლებლო სისტემაშია დასაქმებული, სადაა ლოგიკა?! მკაცრი პოლიტიკა უნდა გაგვეტარებინა და სამსახურში არ უნდა დაგვეტოვებინა ის ადამიანები, რომელთაც განსხვავებული პოლიტიკური შეხედულება აქვთ და წინა ხელისუფლების პერიოდშიც მუშაობდნენ?! ჩვენ ასე არასოდეს მოვიქცევით და ამას არც მომავალში ვგეგმავთ. პროფესიული კუთხით ვუყურებთ ყველას მუშაობას. მიმაჩნია, რომ ხარაგაულს დღეს ჰყავს ღირსეული გუნდი და ჩვენ ერთობლივად ბევრ სასიკეთო საქმეს გავაკეთებთ“.

ბორითში მერაბ კოსტავას ხსოვნას პატივი მიაგეს

▶1 გვ.

სერვატიული პარტიის თავმჯდომარე ზვიად ძიძიგური დაესწრო.

მერაბ კოსტავა გაიხსენა და მისი სულის მოსახსენიებელი პარაკლისი აღავლინა მამა მირიანმა - „მერაბი იყო სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანი. მისი გარდაცვალება უდიდესი ტკივილია მთელი საქართველოსათვის. სასიხარულოა, რომ ახალგაზრდებს ვხედავ დღეს ამ ადგილზე. მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ, ვინ იყო მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, რამეთუ მათ გააგრძელეს წმინდა ილია მართლის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის და სხვა დიდი წინაპრების დაწყებული საქმე. ღმერთმა აცხონოს მერაბ კოსტავას უკვდავი სული“.

მერაბ კოსტავას ღვაწლსა და დამსახურებაზე ისაუბრა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა. „საქართველოს უახლესი ისტორიიდან თუ ვინმეს გამოვყოფთ, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის უკომპრომისოდ იბრძოდა, მათ შორის ერთ - ერთი ყველაზე გამორჩეულია მერაბ კოსტავა. შეუდრეკელი მებრძოლი, რომელსაც მუხლი არასოდეს მოუხრია. მისი შეუპოვარი ხასიათი, მისი სულის სიმტკიცე ყოველთვის იყო განმსაზღვრელი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი, რომელიც არასოდეს არ უნდა შეეგუოს მონობაში ცხოვრებას და თავი დადოს თავისუფლებისთვის. მიუხედავად მასზე განხორციელებული ზნეოლებისა, იგი არასოდეს არ გაბოროტებულა და დღემდე, როგორც სიკეთის რაინდი, ისე დარჩა საქართველოს ისტორიაში. მისი სპეტაკი სულისთვის პატივის მიგება თითოეულ ჩვენგანს აამაღლებს. მერაბ კოსტავამ თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით დაიმკვიდრა თავი საქართველოს ისტორიაში და საკუთარი სახელი თავადვე უკვდავყო. ვისურვებდი, საქართველოს ბევრი მერაბ კოსტავას მსგავსი ვაჟკაცი გაეზარდოს“.

საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი ზვიად ძიძიგური:

-მერაბ კოსტავა იყო ადამიანი-ლეგენდა. დღეს რომ ის ცოცხალი იყოს, შეიძლება, საქართველოს პოლიტიკური ვითარება სულ სხვანაირი ყოფილიყო. მინდა, ახალგაზრდებმა იცოდნენ, რომ ჩვენს ქვეყანას ჰყავდა რაინდი, გმირი, რომელიც არავის წინაშე არ იხრიდა ქედს და სამშობლოს ინტერესების დასაცავად მუდამ მზად იყო ღმერთმა გაანათლოს მისი სული“.

ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი ნოდარ ებანოიძე:

„ამ ადგილას ჩვენი ქვეყნის ისტორიაში დიდი ტრაგედია მოხდა. მერაბი ნამდვილად იყო დიდი ქართველი. კიდევ ერთხელ ვიხრი ქედს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ვაჟკაცის, ყველაზე თბილი ადამიანის, დიდი მებრძოლის წინაშე. გავიხსენებ რუსუდან მიქაბერიძის ლექსის სტრიქონებს „როგორ ქათქათებ, მერაბ, შენი შავი დღის ფონზე.“ ნამდვილად ასეა, მერაბს ყველგან სინათლე შეჰქონდა. ეს არ არის მხოლოდ ტრაგედიის ადგილი, მე ამ ადგილს იმედისა და სიყვარულის ადგილს ვუწოდებდი.“

ამ დღეს თბილისიდან სპეციალურად ჩამოვიდნენ და მერაბ კოსტავას ხსოვნას პატივი მიაგეს საქართველოს მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის (დირექტორი მამა მირიანი (სამხარაძე) აღსაზრდელებმა. საქართველოს ეროვნულ გმირს საკუთარი ლექსები მიუძღვნა პოეტმა ქალბატონმა, თინათინ მღვდლიაშვილმა. მერაბ კოსტავასადმი მიძღვნილ ლექსებზე დაწერილი სიმღერები შეასრულა ხარაგაულის კულტურის სახლთან არსებულმა ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „უბისმა“. საინტერესო ფოლკლორული ნომრები წარმოადგინა თამარ მეფის სახელობის სკოლა-პანსიონის ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა ,,არსიანმა“.

მერაბ კოსტავას სახელის გახსენებისა და პატივგების შემდეგ სტუმრებმა ეროვნული გმირის სახელობის სკვერში გადაინაცვლეს. კობა ლურსმანაშვილმა მერაბ კოსტავას მემორიალთან შეკრებილ საზოგადოებას მადლობა გადაუხადა მობრძანებისათვის.

მარიანა ბურჯალიანი

2016 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება

▶1 გვ.

4.ზვარის ახალგაზრდული ბანაკისათვის ინვენტარის შეძენა - 200,000 ათასი ლარი. (პროექტის ფარგლებში 100 ადამიანისათვის შეძენილ იქნება: სანოლები, კედლის კარადები და ტუმბოები, მაგიდები და სკამები, მაცივარი, გაზის ღუმელი, სარეცხი მანქანა, ტელევიზორები, პროექტორი და ეკრანი, ფოტოაპარატი, ვიდეო კამერა და სხვა).

5.გზის დამცავი კედლების მოწყობა - 140, 000 ათასი ლარი.

პროექტის განხორციელებით მუნიციპალიტეტის 12 ობიექტზე განხორციელედება საყრდენი კედლების გამაგრება. პროექტის ფარგლებში მოეწყობა 400 კბმ დამცავი კედელი.

6. სოფელ გედსამანიის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 300, 000 ათასი ლარი.

რეაბილიტაციის პროცესში განსაზღვრულია გზის ვაკისის მოსწორება, სანიაღვრე არხების მოწყობა, გზის ზედაპირის საფარის მოწყობა ქვიშა - ხრეშოვანი ბალასტით. გზის რთულ და პრობლემურ ადგილებში მოეწყობა ბეტონის საფარი, ცხაური და მილ-ხედები.

7. ზვარის ახალგაზრდული ბანაკის გზის რეაბილიტაცია - 101 000 ათასი ლარი.

8. ხარაგაული-ბაზალეთის გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი) – 287 000 ათასი ლარი.

ხარაგაულში 2016 წელს ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 3 მილიონ 169 ათასი ლარი დაიხარჯება.

მომავალი წლის ინფრასტრუქტურულ პროექტებზე საუბრისას გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა განმარტა, რომ ზვარის ახალგაზრდული ბანაკის აღდგენის პროექტს მომხრეებთან ერთად მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. ,,ინტერესდებიან, რით შეინახავს თავს ეს ბანაკი. ჩვენ გვყავს სხვადასხვა ა(ა)იპ-ები კულტურის და ტურიზმის მიმართულებით, რომლებიც თავიანთი დაფინანსების ფარგლებში მოემსახურებიან აღნიშნულ კომპლექსს, სადაც 500-ზე მეტი ბავშვი შეძლებს დასვენებას,“ - აღნიშნავს კობა ლურსმანაშვილი.

,,ხშირად ისმის კრიტიკა საზოგადოებრივ სახლთან დაკავშირებით. ჩვენ გვაქვს ორი საზოგადოებრივი სახლი ხევსა და ღორეშაში. საზოგადოებრივი სახლი შენდება კიცხის ადმინისტრაციულ ცენტრში. მოლოდინები მაქვს, რომ 2017 წლისათვის მოლითშიც განთავსდება ასეთივე სახლი. ზოგიერთ მუნიციპალიტეტში არცერთი საზოგადოებრივი ცენტრი არ ფუნქციონირებს. ხარაგაულში სულ მალე განხორციელდება 1 მილიონ ექვსასი ათასი ლარის ღირებულების პროექტი. დაიწყება საავადმყოფოს ახალი კომპლექსის მშენებლობა, გამოვლენილია გამარჯვებული კომპანია ,,მშენებელი 2004“, რომელიც სამშენებლო სამუშაოებს მალე დაიწყებს. ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის აღნიშნული პროექტის განხორცილებაში ბატონ დავით სერგეენკოს და მთავარი სიტყვა ეკუთვნის პრემიერ-მინისტრს, რომელმაც ამბულატორიის გახსნის დღეს დავალება მისცა შესაბამის უწყებას უზრუნველეყო 1 მილიონ ექვსასი ათასი ლარის ღირებულების პროექტის განხორციელება ხარაგაულში.“

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა განმარტა, რომ 2016 წელს ხარაგაულის ადგილობრივი ბიუჯეტი სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ორიენტირებული იქნება წყლის და გზის პრობლემებზე. „ჩვენ მრავალწლიანი უწყლობის პრობლემას უკან მოვიტოვებთ“- აღნიშნა გამგებელმა.

თათბირზე კობა ლურსმანაშვილი „სოფლის მხარადამჭერი პროგრამის“ ფარგლებში, შესასრულებელ პროექტთა ჩამონათვალს პირადად გაეცნო. გამგებლის წარმომადგენლებმა მოსახლეობასთან ერთად შეარჩიეს ის პრობლემატური საკითხები, რომლებიც მომავალ წელს „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად გადაიჭრება.

ეკა შავიძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმის წარმომადგენლები ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმს სტუმრობდნენ

11 ოქტომბერს ხარაგაულის მუზეუმში პროექტ „მუზეუმის რენოვაციის“ პრეზენტაცია გაიმართა. საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა, ნინო სულავამ და არქიტექტორ დიზაინერმა ნინო ოქრუაშვილმა დამსწრე საზოგადოებას რეგიონული მუზეუმების რეკონსტრუქციის პროექტი წარუდგინეს. საქართველოს ეროვნული მუზეუმის წარმომადგენლებმა კონკრეტულად ისაუბრეს იმ საკითხებზე, თუ როგორი უნდა იყოს რეგიონული მუზეუმი XXI საუკუნეში, როგორ უნდა შეესაბამდებოდეს იგი თანამედროვე სტანდარტებს. შეხვედრას ესწრებოდნენ ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი ნოდარ ებანოიძე, საკრებულოს თავმჯდომარე ინგა მაღრაძე და მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე პაატა გოგოლაძე.

ნინო სულავას თქმით, „ეროვნული მუზეუმის მიზანია, საქართველოს რეგიონული მუზეუმები იყოს შესაბამისი XXI საუკუნის. ეს გულისხმობს არა მარტო საექსპოზიციო სივრცის, არამედ თვითონ მუზეუმის მუშაობის რენოვაციას. უნდა მოწესრიგდეს ფონდები ისე, როგორც ეს დღევანდელი სტანდარტების მიხედვითაა მიღებული. უშუალოდ პროექტს რაც შეეხება, პირველი რიგის ამოცანა იქნება მუზეუმის გადაგეგმარება და ამას თხოულობს თითქმის ყველა რეგიონული მუზეუმი, იმიტომ რომ სამუზეუმო შენობები თავის დროზე არ არის სპეციალურად მუზეუმისთვის აშენებული. შემდეგი აქტივობა არის ექსპონანტების დიგიტალიზაცია და რესტავრაცია-კონსერვაცია, რაც აუცილებელია და ყველა მუზეუმის ნაკლია. ამის შემდეგ იქნება მასალის მომზადება ექსპოზიციისათვის. შემდეგი ეტაპი კი ექსპოზიციის მოწყობაა, რაც საკმაოდ შრომატევადია და ამის მერე უკვე გვექნება ისეთი მუზეუმი, რომელიც შეეფერება XXI საუკუნეს. რაც ყველაზე მთავარია, ხარაგაულის მუზეუმმა უნდა შეიძინოს კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის როლი. უნდა აკმაყოფილებდეს სხვადასხვა ადამიანთა ასაკის მოთხოვნილებებს. აქ უნდა იმართებოდეს ღია გაკვეთილები. აქ მოეწყობა სპეციალური საკონფერენციო დარბაზი, სადაც სავსებით შესაძლებელი იქნება როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე საზღვარგარეთის სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება. ამ მუზეუმისთვის ერთ-ერთი წამყვანია ,,დევის ხვრელის“ მასალა, რომლის ნაწილი აქ და ნაწილი თბილისში ინახება. შესაძლებელია ამ მასალების გაერთიანებაც მოვახერხოთ. “

არქიტექტორ-დიზაინერმა ნინო ოქრუაშვილმა პროექტის ძირითად დეტალებზე ისაუბრა. მან ვრცლად განიხილა თანამედროვე მუზეუმების დანიშნულება და აღნიშნა, რომ შენობა კომფორტული უნდა იყოს როგორც ადგილობრივებისთვის, ასევე უცხოელი სტუმრებისთვის - „როგორც რეგიონებში, ასევე თბილისშიც შეხვდებოდით მუზეუმის შენობებს, რომლებიც არ იყო მორგებული სამუზეუმო თანამედროვე სტანდარტებს. შენობაში არსებული სივრცის უხეში განაწილება აუფერულებს როგორც ექსპოზიციას, ასევე ინტერესს უკარგავს დამთვალიერებელს. პირველ ეტაპზე უნდა მოეწყოს შესასვლელი. შესასვლელი აუცილებლად უნდა იყოს მორგებული სამუზეუმო სივრცეს, სადაც ყველაზე მნიშვნელოვანია საინფორმაციო სივრცე, რომლის მეშვეობითაც ტურისტს საშუალება ექნება, თავად უზრუნველყოს საკუთარი თავის მეგზურობა მუზეუმში. აუცილებელია სპეციალური განათება. უნდა დავიცვათ ტენიანობის დონე, ანუ მუზეუმში აუცილებელია იყოს კონდიცირება. აუცილებელია ასევე, შენობაში უსაფრთხოების მიზნით იყოს კამერები. დამთვალიერებლებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინტერნეტი, ტელევიზია. მუზეუმისთვის აუცილებელია ეზო, სადაც ღამით ცოცხლობს მუზეუმი, კაფე, სუვენირების მაღაზია, საგანმანათლებლო სივრცე. გადავწყვიტეთ, რომ მუზეუმმა შეიძინოს საგანმანათლებლო ფუნქცია. მუზეუმში უნდა ტარდებოდეს ხალხური რეწვის გაკვეთილები. შენობას დაემატება ლიფტი, რომელიც, ძირითდად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვისაა გათვლილი. მუზეუმში შემოსული უნარშეზღუდული პირი დამოუკიდებლად უნდა გადაადგილდებოდეს და თავი კომფორტულად უნდა იგრძნოს.“

პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის დირექტორმა, ქალბატონმა ნინო დიდიძემ და აღნიშნა, რომ „ძალიან მნიშვნელოვანია, ხარაგაულში იყოს ასეთი სტანდარტების მქონე მუზეუმი. ვფიქრობთ, რომ აუცილებლად შევჯერდებით, რათა მოხდეს ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის რეკონსტრუქცია“.

მარიანა ბურჯალიანი

ღარიხევში მცირე გამავლობის ხიდი გაკეთდა

ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ღარიხევში, (ბრუისის უბანში) მცირე გამავლობის ხიდი გაკეთდა. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა და მისი საერთო ღირებულება 5 800 ლარს შეადგენს. 15 ოქტომბერს ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის დეპუტატმა ვარლამ ჭიპაშვილმა და გამგებლის წარმომადგენელმა თენგიზ ჭიპაშვილმა ახლად აშენებული ხიდი პირადად მოინახულეს. შეგახსენებთ, რომ ბრუისის უბანში არსებული ძველი ხიდი მოსახლეობის გადაადგილებისათვის საფრთხეს წარმოადგენდა.

მუნიციპალიტეტის გამგებლის ინიციატივით მარტოხელა დედას საცხოვრებელ ფართს ურემონტებენ

ხარაგაულელ მარტოხელა დედას, ნორა ხარატიშვილს, რომელსაც მცირეწლოვანი შვილი ჰყავს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის, კობა ლურსმანაშვილის, ინიციატივით საცხოვრებელ ფართს ურემონტებენ. ნორა ცოტა ხნის წინ დაბრუნდა სოფელ ლაშეში, მამაპაპისეულ სახლში. სახლი საცხოვრებლად უვარგისია, დედას არც პირველადი მოხმარების ნივთები გააჩნია. ნორა 4 თვის ანასტასიას მარტო ზრდის. გამგებლის ინიციატივით, სახლის შეკეთება ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებას“ დაევალა. ამჟამად იქ სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, კეთილი ნება გამოიჩინა ხარაგაულში ღია ესტრადის მშენებელი კომპანიის შპს „ჰესპია მურის“ ხელმძღვანელობამ და ოჯახს სამშენებლო მასალებით დაეხმარა. მარტოხელა დედას ადგილობრივი ხელისუფლება საკვები პროდუქტებითაც ეხმარება. ნორა ხარატიშვილი მადლობას უხდის მუნიციპალიტეტის გამგებელს და ყველა იმ ადამიანს, ვინც მისი გასაჭირი გულთან მიიტანა. „ბატონი კობა ყურდღებას არ მაკლებს, ხშირად მირეკავს და ჩემს ამბავს კითხულობს. უდიდესი მადლობა „ხარაგაულდასუფთავებას“ და ავთო კამკამიძეს. იმედი მაქვს თქვენი გულისხმიერების, ღმერთმა გაგახაროთ!“

ხარაგაულში ემერჯენს-ამბულატორია სრული დატვირთვით მუშაობს

რამდენიმე თვეა, რაც ხარაგაულში ახალი ემერჯენს-ამბულატორია გაიხსნა, რომელიც თანამედროვე სტანდარტებითა და ტექნოლოგიითაა აღჭურვილი. იგი დროებითი, 24 საათამდე, დაყოვნების სტაციონარია. როგორ მიმდინარეობს პაციენტთა მომსახურეობა, იმატა თუ არა მათმა რიცხვმა ამბულატორიაში - ამ და სხვა თემებზე ვრცლად შპს „რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრის“ ხარაგაულის ფილიალის მთავარ ექიმს, ქეთევან აბრამიშვილს, ვესაუბრეთ.

ქეთევან აბრამიშვილი:

„ჩვენი კლინიკა მრავალპროფილიანია, ემსახურება თითქმის ყველა პროფილის პაციენტებს. გვაქვს სრულიად ახალი დანადგარები თანამედროვე სტანდარტით. მიუხედავად ამისა, ყველა სერვისს ვერ ვასრულებთ სპეციალისტების არარსებობის გამო. ჩვენთან ყველა პერსონალი კვალიფიცირებულია. გვყავს გამოცდილი ქირურგი, ბატონი ზაურ ჭუმბურიძე.

ჩვენი ამბულატორია დღის სტაციონარია და აქ პაციენტის დაყოვნება 24 საათამდე შეგვიძლია. 24 საათის შემდეგ კი საავადმყოფოში გადაყვანა ხდება. სათანადო სპეციალისტების არარსებობის გამო ჩვენთან

თბილისიდან დადის ექოსკოპისტი, რომელიც ყოველ ხუთშაბათს 10:30 – 15:00 სთ-მდე იღებს პაციენტებს და უწევს სათანადო მომსახურებას. ვიზიტის მსურველთათვის არის ცოცხალი რიგი, ასევე ნომრები და წინასწარი ჩაწერა.

აქვე მინდა ვისაუბრო დაზღვევებზე ჩვენთან, ძირითადად, მოქმედებს საყოველთაო დაზღვევა, რომელშიც შედის რამდენიმე პაკეტი. იგი მოიცავს უმწეოებს, საბაზისო პაკეტს, ასაკობრივს, ვეტერანთა და მინიმალურ პაკეტებს. ასევე მოქმედებს კორპორაციული დაზღვევები. ვფიქრობ, საყოველთაო დაზღვევა მოქალაქეებისთვის ძალიან კარგია. მსგავსი დაზღვევა საქართველოში აქამდე არ ყოფილა. იმისათვის, რომ გავიგოთ ესა თუ ის პაციენტი რომელი დაზღვევით სარგებლობს, პაციენტი წარადგენს პირადობის მოწმობას და ამის შემდეგ ვადგენთ, არის თუ არა იგი ჩვენს ბაზაში და როგორ უნდა მოვემსახუროთ მას- დაზღვევით თუ შიდა სტანდარტით. რაც შეეხება ლაბორატორიულ მომსახურებას, იგი ყველა სერვისითაა უზრუნველყოფილი. ვაკეთებთ ყველა სახის ანალიზს.

რეცეპტის გამოწერის კუთხით საკმაოდ იმატა პაციენტების რიცხვმა. არის უამრავი პრეპარატი, რომელიც ურეცეპტოდ გაიცემა. იმ პაციენტებს, რომლებსაც სურთ რეცეპტის გამოწერა, ვადგენთ, თუ რა ფორმით მოვემსახუროთ - შიდა სტანდარტითა თუ დაზღვევით. იტარებენ შესაბამის გამოკვლევას, რის შემდეგაც ხდება რეცეპტის გამოწერა ოჯახის ექიმის მიერ.

ახალ საავადმყოფოსთან დაკავშირებით მშენებლებისგან მივიღეთ ინფორმაცია, რომ თვის ბოლომდე დაიწყებენ სამშენებლო სამუშაოებს. ადგილობრივი ხელისუფლება ზრუნავს, რომ ეს საავადმყოფო დროულად აშენდეს. მოსახლეობამ დროულად მიიღოს ის სიკეთე, რასაც მოკლებული იყო აქამდე.“

საავადმყოფოში ვიზიტისას დროებითი დაყოვნების სტაციონარში დაგვხვდა პაციენტი ლია ხმალაძე, რომელმაც მადლობა გადაუხადა ხელისუფლებას ამბულატორიის აშენებისთვის. აღნიშნა, რომ იგი მეორედ სარგებლობს მათი მომსახურებით და ძალიან კმაყოფილია.

თამარ მაღრაძე

აკაკი წერეთლის ლექსებზე შექმნილ სიმღერის კონკურსზე ხარაგაულელი მომღერლები ლირსეულად წარდგნენ

საჩხერეში აკაკი წერეთლის ლექსებზე შექმნილი სიმღერის კონკურს-ფესტივალი „ნათელას სიმღერა“ გაიმართა კონკურს-ფესტივალი სრულიად საქართველოს მასშტაბით გაიმართა და მასში ხარაგაულის, საჩხერის, თბილისის, თერჯოლის და სხვა მუნიციპალიტეტის მუსიკალური ჯგუფები და ინდივიდუალური შემსრულებლები მონაწილეობდნენ.

კომპოზიტორებისა და მუსიკოსებისაგან შემდგარმა ჟიურიმ, რომელსაც მომღერალი ნუკრი კაპანაძე თავმჯდომარეობდა, გრან-პრის და სამი საპრიზო ადგილის გამარჯვებული გამოავლინა.

გრან-პრისა და 500 ლარის მფლობელი ხარაგაულელი ნინო ავალიშვილი გახდა, რომელიც კონკურს-ფესტივალზე თბილისის ვოკალურ-თეატრალური სკოლა-სტუდია „ლურჯა ცხენების“ სახელით გამოდიოდა. მეორე ადგილზე გავიდა ხარაგაულის კულტურის ცენტრთან არსებული გოგონების დუეტი თიკო ჯანიაშვილის და თიკო ლურსმანაშვილის შემადგენლობით, გოგონებს ჯილდოდ დიპლომი და 300 ლარი გადაეცათ.

სხვა საპრიზო ადგილები ასე გადანაწილდა: პირველი ადგილი - დიპლომი და 400 ლარი, თერჯოლის კულტურის ცენტრთან არსებული ქალთა ანსამბლი „იამე“, მესამე ადგილი - დიპლომი და 200 ლარი, საჩხერის კულტურის ცენტრის სოლისტები ლელა ძინძიბაძე და მანანა ტატაშიძე.

გამარჯვებულები მუნიციპალიტეტის გამგებელმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა დააჯილდოეს. ფესტივალის დასასრულს წმინდა ნინოს ტაძრის მგალობლების შესრულებით მგოსნის ლექსზე შექმნილი ახალი სიმღერა გაჟღერდა (კომპოზიტორი ვაჟა დურგლიშვილი).

ფესტივალს საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებელი მალხაზ ბაზაძე, გამგებლის მოადგილეები და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ

კონკურს-ფესტივალი აკაკი წერეთლის საიუბილეო წლის ფარგლებში საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ორგანიზებით გაიმართა და იგი ყოველწლიური გახდება.

ეკა შავიძე

ხარაგაულში მხატვართათვის პლენერი მოეწყო

10-11 ოქტომბერს ხარაგაულში რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის ინიციატივით სამხატვრო პლენერი მოეწყო. საქართველოს ყველა კუთხიდან შეკრებილი მხატვრები, ხარაგაულის სხვადასხვა სოფელში ადგილობრივ მცხოვრებლებს ესტუმრნენ და 24 საათის განმავლობაში, სოფლების პეიზაჟები მოხატეს. მხატვართა ნამუშევრების გამოფენა ხარაგაულში, „დევების შემოსასვლელთან“, „შემოდგომის ზეიმით“ დასრულდა. სამხატვრო პლენერის საზეიმო დახურვას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი ნოდარ ებანოიძე, გამგებელი კობა ლურსმანაშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ, მადლობა გადაუხადა მხატვრებს ქველმოქმედებისთვის და მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ, კობა ლურსმანაშვილს პროექტის მხარდაჭერისათვის: „ძალიან ბედნიერი დღეა ხარაგაულისთვის. 30-მდე მხატვარმა ხარაგაულის ულამაზესი ხედები დახატა. ის, რაც ჩავიფიქრე, უფლის წყალობით, ძალიან კარგად განხორციელდა, ასე, რომ მომავალ წელს უფრო მასშტაბური პლენერი მოეწყობა ხარაგაულში.“

მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა აღნიშნა, რომ მსგავსი ღონისძიებები ხარაგაულში მომავალშიც გაგრძელდება: „შესანიშნავი დღეა. ასეთი რამ ხარაგაულში პირველად მოეწყო და დიდი მადლობა ამის ორგანიზებისთვის ქალბატონ იზა ვეფხვაძეს. გამგეობა მაქსიმალურად შეეცადა, სამხატვრო პლენერი ხარაგაულში საკმაოდ კარგი ფორმატით შემდგარიყო და ისეთი საფუძვლიანი ყოფილიყო, რომ მომავალში განვრცობა ჰქონოდა. დარწმუნებული ვარ, ამ ნაშრომების პრეზენტაცია მარტო ხარაგაულის ტერიტორიაზე არ მოხდება, ხარაგაულის ულამაზეს ხედებს, ალბათ, მთელი საქართველო იხილავს.“

,,მივესალმები ასეთი სახის აქტივობებს. ძალიან კარგი ღონისძიებაა. ზოგადად, კულტურა არის ჩვენი ადგილობრივი ხელისუფლების პრიორიტეტი. ჩვენ ყოველთვის გვერდში ვუდგავართ ქალბატონ იზას მსგავსი ჩანაფიქრის განხორციელებაში. ბაზალეთში იმყოფებოდა ორი ცნობილი მხატვარი: თემურ თადუმაძე და ალექსანდრე ციხელაშვილი. ისინი ნამდვილად ღირსეული ქართველები არიან. შეხვდნენ სოფელში მოსახლეობას და სკოლის მოსწავლეებს და, ვფიქრობ, რომ ეს ურთიერთობა იყო ორმხრივად სასარგებლო და სასიხარულო. ძალიან დიდი მადლობა მათ, ვინც ასეთი სახის ღონისძიება გვაჩუქა და მოსწავლე-ახალგაზრდობას კიდევ ერთხელ გაუღრმავა ინტერესი შემოქმედების დაფასებისაკენ“-განაცხადა ბაზალეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა ვარლამ ჭიპაშვილმა.

,,თი ბი სი არტ გალერეის“ დირექტორის, ხელოვნებათმცოდნე, ქეთევან კორძახიას თქმით, ,,სამხატვრო პლენერის გამართვა არაჩვეულებრივი ინიციატივაა. მისივე განმარტებით, იმერეთი თავისი შემოქმედებითი პოტენციალით ცნობილია და ის ერთგვარი ბუდეა ხელოვნებისა.

,,ძალიან ბევრი ბავშვია ჩართული ამ პროცესში. მათთვის პროფესიული უნარჩვევების მიღება, ძალიან დიდი სტიმული იქნება. ხარაგაულს ჰყავს ნიჭიერი თაობა. ხიდარში ორ მხატვართან ერთად ვიყავი ჩამოსული და მუშაობის პროცესში ხუთი ბავშვი არ მოგვშორებია. ვფიქრობ, რომ კარგი იქნება ამ პლენერის დაიჯესტი ბუკლეტად გამოიცეს. თუ ეს რეგულარულ სახეს მიიღებს, ძალიან სასიხარულო იქნება. ასეთი მასტერკლასები მომავალი თაობისთვის მნიშვნელოვანია. თქვენ იცით, ფიროსმანი თვითნასწავლი მხატვარი იყო. მე გილოცავთ ამ წამოწყებას და ვისურვებდი, რომ სხვა რეგიონებმაც გაიზიარონ თქვენი გამოცდილება“-აღნიშნა ქალბატონმა ქეთევანმა.

თავიანთი შთაბეჭდილებები გაგვიზიარეს მხატვრებმა:

,,ბედნიერი ვარ, რომ გავიცანი ულამაზესი კუთხე ხარაგაული. შევიძინე ახალი მეგობრები. იმერლები საოცარი, სტუმართმოყვარე ხალხია. ერთი დღე არ მეყო მოფერებისთვის, სიყვარულისთვის. მიხარია დღევანდელი დღე და მიხარია, რომ აქაურობას ვეწვიე.“ - აღნიშნა თემურ თადუმაძემ.

სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სამხატვრო აკადემიის პროფესორი ილო პატაშური: „განწყობა არის არაჩვეულებრივი. დღეს ხარაგაულში 30-ზე მეტი მხატვარია ჩამოსული საქართველოს ყველა კუთხიდან. ამის მთავარი ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი არის უსაყვარლესი, შესანიშნავი, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული ქალბატონი იზა ვეფხვაძე. შემდგომ წლებში აუცილებლად უნდა გაფართოვდეს ეს ღონისძიება. კულტურა მიძინებულია დღეს ჩვენს ქვეყანაში. მე გისურვებთ ასეთი ღონისძიებების მრავალჯერ ჩატარებას იმიტომ, რომ ეს საჭიროა ჩვენი სულიერებისთვის.“

მხატვართა ნამუშევრები ჩარჩოებში ჩაისმება. იგეგმება ნახატების თბილისში, ცნობილ გალერეაში გამოფენაც. საბოლოოდ კი ნამუშევრები რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო თეატრში დაიმკვიდრებს ადგილს მუდმივმოქმედი გამოფენის სახით და მას დამთვალიერებელი არ მოაკლდება.

მარიანა გურჯალიანი

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘᲡ 2015 ᲬᲚᲘᲡ ᲪᲮᲠᲐ ᲗᲕᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2015 წლის ცხრა თვის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრა 7732,9 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურად მიღებულია 6798,4 ათასი ლარის შემოსულობები, შემოსულობების ცხრა თვის გეგმა შესრულებულია 87,9 პროცენტით, ხოლო წლიური გეგმა 71,5 პროცენტით.

საკუთარი შემოსულობების ცხრა თვის გეგმა განსაზღვრული იყო 1095,2 ათასი ლარი, ფაქტიურად მობილიზებულია 950.9 ათასი ლარი, გეგმის შესრულებულია 86.8 პროცენტით და გეგმის შესრულებას დააკლდა 144.3 ათასი ლარი.

გადასახადებიდან მუნიციპალიტეტს დაგეგმილი 214,4 ათასი ლარიდან მიღებული აქვს 364,9 ათასი ლარი, მათ შორის საწარმოთა ქონების გადასახადი 60,5 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი 0,1 ათასი ლარი და არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 304,3 ათასი ლარი. ფაქტიურად მიღებული გადასახადები გასული წლის ცხრა თვესთან შედარებით გაზრდილია 308,7 ათასი ლარით;

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულმა ტრანსფერმა შეადგინა 5847,5 ათასი ლარი. აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი მიღებულია 2618,3 ათას ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიღებულია 103,5 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან, კერძოდ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებული გვაქვს 1846,1 ათასი ლარი და სოფლის მხარდამჭერი პროგრამით 668,7 ათასი ლარი. აღსანიშნავია რომ მუნიციპალიტეტის მიერ მიმდინარე წლის ცხრა თვეში გასულ წელთან შედარებით შესრულებულია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 176,8 ათასი ლარით მეტი სამუშაო და სოფლის მხარდამჭერი პროგრამით 72,2 ათასი ლარით მეტი სამუშაო. გასული წლის ცხრა თვეში რეგიონალური განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტმა აითვისა 1669,3 ათასი ლარი და სოფლის მხარდამჭერი პროგრამით 596,5 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების ცხრა თვის გეგმა განისაზღვრა 880,8 ათასი ლარით, ფაქტიურად კი მიღებულია მხოლოდ 574,6 ათასი ლარის სხვა შემოსავლები, დაგეგმილზე 306,2 ათასი ლარით ნაკლები, მიმდინარე ცხრა თვის გეგმის შესრულება აღნიშნულ სახეში შედაგენს 65,2 პროცენტს. გეგმის შეუსრულებლობა ძირითადად გამოწვეულია სხვა შემოსავლებში შემავალი სხვადასხვა სახის შემოსავლების და მოსაკრებლების გეგმების შეუსრულებლობით, კერძოდ იკლო ბანკიდან მისაღები პროცენტების ოდენობამ და დაგეგმილი 45,0 ათასი ლარის ნაცვლად მივიღეთ მხოლოდ 30,7 ათასი ლარი, ასევე არ შესრულდა მოსაკრებელის გეგმა ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის და რაც მთავარია მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო შემოსავალი დაგეგმილი ჯარიმებიდან 281,2 ათასი ლარის ოდენობით, ვინაიდან ამ სახეში დაგეგმილი 750,0 ათასი ლარიდან შემოსულია მხოლოდ 468,8 ათასი ლარი და გეგმა შესრულებულია 62,5 პროცენტით.

რაც შეეხება იჯარიდან და ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან შემოსულობების გეგმების შესრულებას ორივე სახეში შესრულებულია როგორც ცხრა თვის ასევე წლიური გეგმაც.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოსულობები არ დაგეგმილა, თუმცა ცხრა თვეში აღნიშნულ სახეში უკვე მობილიზებულია 11,4 ათასი ლარი და წლის ბოლომდე შემოსულობები ამ სახეში კვლავ გაიზრდება.

გარდა ზემოთ აღნიშნული შემოსულობებისა, ხარჯების დაფინანსების წყაროდ მიმდინარე წლის ცხრა თვეში ასევე გამოყენებულია 2015 წლის პირველი იანვრისათვის არსებული სახსრების ნაშთიდან 798,2 ათასი ლარი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2015 წლის ცხრა თვის ბიუჯეტი ხარჯების ნაწილში განისაზღვრა 8218,7 ათასი ლარი, ფაქტიურად კი გაწეულია 7483,5 ათასი ლარი. მიმდინარე წლის ცხრა თვის ხარჯები დაფინანსებულია 91,1 პროცენტით, ამასთან ცხრა თვეში გაწეული ხარჯების წილი წლიურ ხარჯებთან განისაზღვრა 72,9 პროცენტი. 2015 წლის ხარჯების წლიური გეგმა შეადგენს 10271,7 ათას ლარს.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯების დაფინანსებაზე დაგეგმილი 1529,5 ათასი ლარიდან გაწეულია 1462,1 ათასი ლარი, გასულ წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით აღნიშნული ხარჯები გაზრდილია 66,0 ათასი ლარით;

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესანახი ხარჯები 2015 წლის ცხრა თვეში განსაზღვრული 443,7 ათასი ლარიდან გაწეულია 413,6 ათასი ლარი და დაფინანსებულია 93,2 პროცენტით.

მუნიციპალიტეტის გამგეობის შესანახი ხარჯები დაგეგმილი 1085,8 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 1048,5 ათასი ლარი, 96,6 პროცენტით, 2014 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მუნიციპალიტეტის გამგეობის შესანახი ხარჯები შემცირებულია 18,9 ათასი ლარით (2014 წლის ცხრა თვეში მუნიციპალიტეტის გამგეობაზე გაწეულია 1067,4 ათასი ლარი); ხარჯების შემცირება ძირითადად გამოწვეულია ადმინისტრაციული ხარჯების (შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება, ოფისის, წარმომადგენლობითი ხარჯები) და არაფინანსური აქტივების ზრდის ხარჯების შემცირებით.

2015 წლის ცხრა თვეში მუნიციპალიტეტს სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 16,1 ათასი ლარი, აქედან:

- 6,0 ათასი ლარი გამოიყო დაბა ხარაგაულში მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით ქუჩების მიმდებარედ არსებული ხმელი ხეების მოსაჭრელად და მიიმართა ა(ა)იპ ,,ხარაგაულკეთილმოწყობის " (პარკები და სკვერები) სუბსიდირების ხარჯებში;

- 10,1 ათასი ლარი გამოიყო გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებში, საღანძილის ადმ/ერთეულის სოფლების ჩხერი, საღანძილე, ვანი, სხლითი, ზარანი და ფარცხნალის ადმ/ერთეულის სოფელ ისლარის ღვარცოფისაგან დაზიანებული გზების გასაწმენდად.

2015 წელს გამოყოფილი სარეზერვო ფონდიდან 72,0 ათასი ლარიდან ამ ეტაპზე დარჩენილი გასანაწილებელი თანხა შეადგენს 55,,9 ათას ლარს.

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების ხარჯების დასაფინასებლად დაგეგმილი 302,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 245,5 ათასი ლარი, მ.შ.

სახანძრო–სამაშველო სამსახურის ხარჯები დაგეგმილი 229,5 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 178,1 ათასი ლარი ანუ 77,6 პროცენტით;

თავდაცვის ხარჯები 73,2 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 67,4 ათასი ლარით, ანუ 92,1 პროცენტით, ამასთან თავდაცვის ხარჯებიც გასულ წელთან შედარებით შემცირებულია 8,1 ათასი ლარით. (2014 წლის ცხრა თვეში სამხდრო სამსახურის მიერ გაწეულია 75,5 ათასი ლარი) შემცირების მიზეზი არის მივლინებისა და შტატგარეშე მომუშავეთა ხარჯების შემცირება.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯები 2015 წლის ცხრა თვის შედეგების მიხედვით დაგეგმილი 3563,6 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 3219,9 ათასი ლარით, 90,0 პროცენტით, აქედან:

1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე დაგეგმილი 1523,4 ათასი ლარიდან დახარჯულია 1343,1 ათასი ლარი, ე. ი. 88,2 პროცენტი.

მათ შორის გზების მშენებლობა, რეკონსტრუქციის მოვლა–შენახვის ხარჯები დაგეგმილი 1468,5 ათასი ლარიდან დახარჯულია 1292,9 ათასი ლარი, გზების რეაბილიტაცია ხორციელდებოდა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის N 39 განკარგულებით - საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და დახარჯულია 1221,5 ათასი ლარი, აქედან კიცხი-ხიდარის გზის რეაბილიტაციაზე 655,3 ათ. ლარი;

ხარაგაული-ბაზალეთის გზის რეაბილიტაციაზე 539,9 ათ. ლარი; ბორითი-მარიამწყარო-ღორეშის გზის რეაბილიტაციაზე 26,3 ათ. ლარი;

საკუთარი სახსრებით გზების რეაბილიტაციაზე დახარჯულია 71,4 ათასი ლარი, აქედან დახრეშვასა და გაწმენდით სამუშაოებზე 56,5 ათასი ლარი, გზების ასფალტობეტონით დაფარვაზე 4,4 ათასი ლარი და 9,5 ათასი ლარი მოხმარდა მიკროავტობუსის სუბსიდირებას,

ამასთან მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მესამე და მეოთხე კვარტლში მიკროავტობუსის სუბსიდირების ნაცვლად გამოყენებული იქნა მიკროავტობუსის დაქირავება და ამ პროგრამაზე ,,მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა" წლიური 4,5 ათასი ლარიდან ფაქტიურად მიიმართა 0,8 ათასი ლარი;

- ხიდებისა და ბოგირების შეკეთებაზე მიმდინარე წლის ცხრა თვეში უნდა გაწეულიყო 53,1 ათასი ლარი, ფაქტიურად შესრულდა 49,4 ათასი ლარის სამუშაო, აქედან 41,4 ათასი ლარი საკუთარი სახსრების ხარჯზე და 8,0 ათასი ლარი გასული წლის სახელმწიფო ფონდების სახსრების ნაშთიდან მოხმარდა სოფელ მაქათუბანში მშენებარე ხიდს, რომლის მშენებლობაც გასულ წელს იქნა დაწყებული.

2) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და ექსპლუატაციაზე გათვალისწინებული 774,2 ათასი ლარიდან დახარჯულია 748,1 ათასი ლარი, ე.ი. 98,6 პროცენტი, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კომუნალურ მომსახურეობაზე გაწეულია 416,9 ათასი ლარით მეტი. 2014 წლის ცხრა თვეში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაფინანსებას მოხმარდა 331,2 ათასი ლარი;

დასუფთავების ღონისძიებების სუბსიდირებაზე დაგეგმილი 398,6 ათასი ლარიდან დახარჯულია 390,2 ათასი ლარი;

მრავალბინიანი სახლების რეკონსტრუქციაზე (პროექტის შედგენა) 0,9 ათასი ლარი, წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე დაგეგმილი 191,0 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 185,7 ათასი ლარი, აქედან საკუთარი სახსრებით შესრულებულია 10,8 ათასი ლარის სამუშაოები და სახელმწიფო ფონდების სახსრებით - რეგიონალური განვითარების ფონდიდან გაწეულია 174,9 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად მოხმარდა დაბა ხარაგაულში მშენებარე საავადმყოფოს და მის მიმდებარე ქუჩებზე (დევდარიანის, გურამიშვილის, ჭიპაშვილის) წყალმომარაგების სისტემის მოწყობას;

გარე განათების სუბსიდირებაზე გაწეულია 135,4 ათასი ლარი, ხოლო ელექტრო გადამცემი ხაზების რეაბილიტაციაზე დაიხარჯა 3,4 ათასი ლარი, ამასთან გარე განათების სუბსიდირების ხარჯები გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაზრდილია 42,6 ათასი ლარით, 2014 წლის ცხრა თვეში გარე განათების სუბსიდირებაზე დახარჯული იყო 92,8 ათასი ლარი;

3) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად მიმდინარე წლის ცხრა თვეში გამოყოფილი 428,9 ათასი ლარიდან ათვისებულია 411,2 ათასი ლარი, აქედან 221,5 ათასი ლარი დაიხარჯა რეგიონალური განვითარების ფონდიდან და მოხმარდა დაბა ხარაგაულში არსებული ღია ესტრადისა და ცენტრალური პარკის რეაბილიტაციას 219,1 ათ. ლარი და დაბაში მშენებარე საავადმყოფოს ეზოს მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრასტრუქტურის მოწესრიგების საპროექტო სამუშაოებს 2,4 ათასი ლარი;

ხოლო 189,5 ათასი ლარი მოხმარდა პარკებისა და სკვერების სუბსიდირებას, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებს 119,5 ათასი ლარით აღემატება , გასული წლის ცხრა თვეში პარკებისა და სკვერების სუბსიდირებაზე დახარჯული იყო 70,0 ათასი ლარი;

4) სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები 2015 წლის ცხრა თვეში 814,0 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურად მოხდა 708,5 ათასი ლარის დახარჯვა, აქედან საკუთარი სახსრების თანადაფინანსებით გაწეულია 25,4 ათასი ლარის სამუშაოები, გასული წლის სოფლის N 471 განკარგულებით სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდების ნაშთიდან 19,6 ათასი ლარი, მიმდინარე წლის N 506 განკარგულებით 663,5 ათასი ლარი;

გასული 2014 წლის ცხრა თვესთან შედარებით სოფლის მხარდამჭერი პროგრამის დაფინასებაზე დახარჯულია 61,4 ათასი ლარით მეტი, გასული წლის ცხრა თვეში აღნიშნულ პროგრამაზე დაიხარჯა 647,6 ათასი ლარი.

5.) სოფლის მეურნეობის დაფინანსებაზე (ვაზის სანერგე მეურნეობის დაფინანსება) დახარჯულია 9,0 ათასი ლარი.

განათლებაზე 2015 წლის ცხრა თვეში გათვალისწინებული 977,9 ათასი ლარიდან დახარჯულია 847,3 ათასი ლარი და დაფინანსებულია 86,6 პროცენტით, მ.შ. სკოლამდელი განათლების დაფინასებაზე დაგეგმილი 776,9 ათასი ლარიდან ათვისებულია 660,9 ათასი ლარი, აქედან სუბსიდირებაზე დაგეგმილი 647,5 ათასი ლარიდან ათვისებულია 600,0 ათასი ლარი .

სკოლა–ინტერნატის სუბსიდირებაზე – დაიხარჯა 104,5 ათასი ლარი და მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირებაზე 81,9 ათასი ლარი;

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების ხარჯები დაგეგმილი 1297,2 ათასი ლარიდან დახარჯულია 1196,3 ათასი ლარი და დაფინანსებულია 92,2 პროცენტი, აქედან სპორტის განვითარებაზე 452,8 ათასი ლარიდან დახარჯულია 443,6 ათასი ლარი, საიდანაც სპორტული ღონისძიებების დაფინანსებაზე დახარჯულია 3,5 ათასი ლარი, სპორტული სკოლის (სპორტის განვითარებისა და მუნიციპალური მართვის ცენტრი) სუბსიდირებაზე 174,0 ათასი ლარი, ტურიზმის ცენტრის დაფინანსებაზე 96,1 ათასი ლარი და საფეხბურთო კლუბ ,,ჩხერიმელა –2009" –ის

სუბსიდირებაზე 170,0 ათასი ლარი;

კულტურის განვითარებაზე დაგეგმილი 724,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 712,5 ათასი ლარი და დაფინანსებულია 98,4 პროცენტით, აქედან:

სამუსიკო სკოლის სუბსიდირებაზე დაიხარჯა 72,7 ათასი ლარი, ხალხური შემოქმედების სახლის სუბსიდირებაზე 62,0 ათასი ლარი, კულტურის ცენტრის სუბსიდირებაზე 212,0 ათასი ლარი, ცენტრალური ბიბლიოთეკის სუბსიდირებაზე 156,7 ათასი ლარი და ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის შენობის რეაბილიტაციაზე რეგიონალური განვითარების ფონდიდან დაიხარჯა 91,7 ათასი ლარი; ისტორიული მუზეუმის სუბსიდირებაზე 72,0 ათასი ლარი,ლიტერატურული თეატრის სუბსიდირებაზე 45,4 ათასი ლარი; ა(ა) იპ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის" სუბსიდირებაზე 31, 8 ათასი ლარი.

ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე 6,7 ათასი ლარი.

რელიგიის დაფინანსებაზე მიმდინარე წლის ცხრა თვეში თანხები არ გაცემულა.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე ცხრა თვეში დაგეგმილი 547,8 ათასი ლარიდან ათვისებულია 512,4 ათასი ლარი, აქედან საზოგადოებრივი ჯანდაცვაზე დახარჯულია 82,5 ათასი ლარი, სოციალურ პრგრამებზე დაგეგმილი 459,0 ათასი ლარიდან ათვისებულია 429,9 ათასი ლარი, აქედან უფასო სასადილოს სუბსიდირებაზე დახარჯულია 73,7 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობის, მედიკამენტებით უზრუნველყოფის და სხვადასხვა სოციალური ფენის მოსახლეობის ერთჯერად დახმარებებზე 308,8 ათასი ლარი, ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარებაზე 22,5 ათასი ლარი, სტიქიით დაზარალებული ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად 23,4 ათასი ლარი და ვეტერანთა და ლტოლვილთა დაკრძალვაზე 1,5 ათასი ლარი.

მიმდინარე წლის ცხრა თვეში მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სხვადასხვა საქონლის, სამუშაოს და მომსახურეობის შესყიდვის განხორციელებისათვის გაფორმებულია 42 ხელშეკრულება , გამოცხადებულია 57 ელექტრონული და გამარტივებული ტენდერი, მათ შორის 13 ტენდერი არ შედგა, ხოლო 2 ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებები ასახულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის GMR მოდულში და ასევე ასახულია ინფორმაცია კონკრეტულ ხელშეკრულებაზე ფაქტიურად ჩარიცხული თანხების შესახებ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ 2015 წლის ცხრა თვეში გაწეული 7483,5 ათასი ლარიდან 2543,1 ათასი ლარი გაწეულია სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებით, მთლიან ხარჯებში არაფინანსური აქტივების ზრდაზე გაწეულია 2292,5 ათასი ლარი,მ. შ 2132,0 ათასი ლარი ფონდებიდან და 160,5 ათასი ლარი საკუთარი სახსრებიდან; გაწეულ ხარჯებში 4940,4 ათასი ლარი არის მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებით გაწეული ხარჯები, აქედან შრომის ანაზღაურებაზე დახარჯულია 1083,8 ათასი ლარი - 21,9 %, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე 80,3 ათასი ლარი, 1,6 %, მივლინების ხარჯების ანაზღაურებაზე 9,1 ათასი ლარი, 0,2 %; საოფისე ხარჯების გაწევაზე 105,3 ათასი ლარი, 2,1 %, წარმომადგენლობითი ხარჯების ანაზღაურებაზე 6,4 ათასი ლარი, 0,1 %; სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებაზე 87,5 ათასი ლარი, 1,8 % სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე 187,2 ათასი ლარი, 3,8 %; სუბსიდირებაზე 2672,6 ათასი ლარი, 54,1 %, მიმდინარე გრანტებზე 178,1 ათასი ლარი 3,6 %; სოციალურ უზრუნველყოფაზე 363,6 ათასი ლარი, 7,4 %.

საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ვლ. გელაშვილი

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ ა(ა)იპ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25; ტირაჟი 1000 ცალი
ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ᲔᲙᲐ ᲨᲐᲕᲘᲫᲔ; ᲢᲔᲚ.: 595 51 98 12